სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080145779046122

№ 1197 06 / აპრილი / 2022 წ.

ზოგიერთი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საჭიროების თაობაზე

2022 წლის 6 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც NAT220006059, NAT220005861, NAT220006171, NAT220004949, NAT220005906, NAT220005968, NAT220006231, NAT220006246, NAT220006211, NAT220006157, NAT220005985, NAT220005984, NAT220006153, NAT220005986, NAT220005987, NAT220005988, NAT220006217, NAT220006254, NAT220006177, NAT220006102, NAT220006221, NAT220006167, NAT220005204, NAT220006065, NAT220006163 და NAT220006168 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადების წარდგენა. ამავდროულად, ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, შესაბამისად, საჯარო გახდა იმ მომენტში არსებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

იმავე ხარვეზის გამო SPA220000756, SPA220000904 და SPA220000871 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადების წარდგენა და ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“. შესაბამისად, საჯარო გახდა პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (NAT220006059), სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულმა ცენტრმა“ (NAT220005861), შპს „საჩხერის წყალკანალმა“ (NAT220006171), საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT220004949), სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ“ (NAT220005906), შპს „სანდასუფთავებამ“ (NAT220005968), ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT220006231), სსიპ „სურსათის ეროვნულმა სააგენტომ“ (NAT220006246), სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა“ (NAT220006211), ააიპ „რუსთავსერვის ცენტრმა“ (NAT220006157), ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელმა აღზრდის სააგენტომ“ (NAT220005985, NAT220005984, NAT220005986, NAT220005987 და NAT220005988), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT220006153), ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT220006217), ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT220006254), ააიპ „ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა“ (NAT220006177), ააიპ „გურამ თამაზაშვილის სახელობის ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა – მხედრული“ (NAT220006102), სსიპ „კოლეჯმა – მოდუსი“ (NAT220006221), შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციურმა კლინიკურმა საავადმყოფომ“ (SPA220000756), საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა (SPA220000904), სსიპ „თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიამ“ (NAT220006167), შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT220005204), სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა“ (NAT220006065), ააიპ „სოციალურად დაუცველ პირთა მომსახურების ორგანიზაციამ – მოქალაქეთა თანადგომამ“ (NAT220006163), ააიპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებამ“ (NAT220006168) და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ (SPA220000871) დადგენილი წესით, შეწყვიტონ ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერები.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი